



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

2021 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study)

კვლევის ანგარიში მომზადებულია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ

იანვარი, 2022

თბილისი, საქართველო

სარჩევი

შესავალი.....	3
მეთოდოლოგია.....	3
კვლევის შედეგები.....	4
<i>ნაწილი I: კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები.....</i>	<i>4</i>
<i>ნაწილი II. მიმდინარე საქმიანობა</i>	<i>11</i>
<i>ნაწილი III. სამომავლო გეგმები და საგანმანათლებლო პროცესის შეფასება.....</i>	<i>17</i>
<i>ნაწილი IV. კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი.....</i>	<i>21</i>
დასკვნა	23

შესავალი

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) 2016 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში ახორციელებს პროექტს „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება,“ რომელიც მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ახალი მოდელის - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროგრამების დანერგვას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

მეთოდოლოგია

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (ე.წ. Tracer Study) მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს ისეთი საკითხების შესწავლა წარმოადგენს, როგორცაა:

- კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილება;
- კურსდამთავრებულთა სამომავლო საგანმანათლებლო გეგმები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე კურსდამთავრებულთა განათლების დონე;
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
- დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელიც დაეხმარა ან ხელი შეუშალა ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
- კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.

კვლევა ეფუძნება სტანდარტიზებულ კითხვარს, რომელიც ადმინისტრირებულია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ცხელი ხაზის ოპერატორების მიერ სატელეფონო ინტერვიუს ფორმატში. კურსდამთავრებულთა კვლევის მოცემული ეტაპი ჩატარდა 2021 წლის დეკემბერსა და 2022 წლის იანვარში და გამოიკითხა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2021 წლის კურსდამთავრებულები, რომლებიც სწავლობდნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალურ პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. რესპონდენტთა რაოდენობა

შეადგენდა 52 კურსდამთავრებულს, რომელთა შერჩევა მოხდა წინასწარ განსაზღვრული ექვსი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზიდან. სატელეფონო გამოკითხვის ფარგლებში დაკავშირება მოხდა მხოლოდ 46 კურსდამთავრებულთან, რადგან დანარჩენი 6 კურსდამთავრებულის შემთხვევაში, მიუხედავად კვლევის პროცესში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური ჩართულობისა, მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, გამოიკითხა 46 კურსდამთავრებული.

კვლევის შედეგები


როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის დეკემბერსა და 2022 წლის იანვარში საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ პროექტის “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება” ფარგლებში ჩატარა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (სამუშაოზე დაფუძნებული აგრარული დუალური სწავლება) კურსდამთავრებულთა კვლევა მათი შემდგომი საქმიანობის (სწავლის გაგრძელება, დასაქმება და ა.შ.) და მათ მიერ პროფესიული პროგრამების შეფასების შესწავლის მიზნით.

სატელეფონო ინტერვიუების შედეგად მთლიანობაში გამოიკითხა 46 კურსდამთავრებული.

ნაწილი I: კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები


გამოკითხული 46 კურსდამთავრებულიდან 50% კაცია, ხოლო 50% ქალი.

გრაფიკი 1. კურსდამთავრებულთა განაწილება სქესის მიხედვით



გამოკითხული კურსდამთავრებულიდან 12 ადამიანი 18-დან 25 წლამდეა, 25 წლიდან 40 წლამდეა - 23 კურსდამთავრებული და 40 წლიდან ზევით - 11 კურსდამთავრებული.


გრაფიკი 2. კურსდამთავრებულთა განაწილება სასწავლებლისა და სასწავლო პროგრამის მიხედვით



გრაფიკ 2-ზე მოცემულია კურსდამთავრებულთა განაწილება კოლეჯისა და პროფესიული პროგრამის მიხედვით. ჩამოთვლილი პროგრამებიდან, ყველაზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს (11 კურსდამთავრებული) ვეტერინარიის პროგრამას, რომელთაგან უმეტესობა ქალია. 8 გამოკითხულმა დაამთავრა მეფუტკრეობის პროგრამა, რომელთაგან 5 ქალია და 8-მ მეხილეობა, რომელთაგან 4 ქალია. იბერიის კოლეჯის 7-მა კურსდამთავრებულმა დაამთავრა მეხილეობის პროგრამა, კონკრეტულად ჩაის მიმართულებით, რომელთაგან 4 ქალია.


ყველა გამოკითხული სტუდენტი ეროვნებით ქართველია. მათგან უმრავლესობას 87%-ს არ აქვს რაიმე სახის სოციალური სტატუსი (40 კურსდამთავრებული). იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე კურსდამთავრებულების რაოდენობა 7%-ს (3 კურსდამთავრებული) შეადგენს, სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონე 4%-ია (2 კურსდამთავრებული), ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა კურსდამთავრებულთა 2% (1 კურსდამთავრებული).

გრაფიკი 3. სოციალური სტატუსი



კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის (57%) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე მიღწეული ყველაზე მაღალი საგანმანათლებლო საფეხური უმაღლესი განათლება იყო, რომელთაგან 13%-მა ბაკალავრთან ერთად მაგისტრატურაც დაამთავრა. სრული ზოგადი განათლება ჰქონდა 26%-ს, პროფესიული 11%-ს, ხოლო საბაზო განათლება 6%-ს ჰქონდა მიღებული.

გრაფიკი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე მიღწეული განათლების დონე



იმ მიზეზებს შორის, რომელსაც გავლენა ჰქონდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების გადაწყვეტილებაზე, ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის არ არსებობა/სწავლა სახელმწიფო დაფინანსებით (საშუალო -

4.91), სასურველი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა, (საშუალო-4.89), პროგრამაზე ჩარიცხვის ალტერნატიული ფორმა, გასაუბრება (საშუალო-4.70), კომპლექსური ცოდნისა და უნარების მიღების/განვითარების შესაძლებლობა (საშუალო-4.67) და სწავლის პარალელურად სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა (საშუალო-4.65).


ცხრილი 1. მიზეზები, რომელსაც ჰქონდა გავლენა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას

შეფასება 5 ქულიან სკალაზე	
1. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის არ არსებობა/სწავლა სახელმწიფო დაფინანსებით	4.91
2. სასურველი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა	4.89
3. პროგრამაზე ჩარიცხვის ალტერნატიული ფორმა, გასაუბრება	4.70
4. კომპლექსური ცოდნისა და უნარების მიღების/განვითარების შესაძლებლობა	4.67
5. სწავლის პარალელურად სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა	4.65
6. მარტივად დაძლევადი პროგრამა	4.61
7. მშობლების/ახლობლების რჩევა	4.59
8. პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამის და/ან საგანმანათლებლო დაწესებულების პრესტიჟი	4.57
9. თვითდასაქმების შესაძლებლობა	4.48
10. დასაქმების რეალური შესაძლებლობა	4.35
11. კერძო სექტორის/პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების/ პარტნიორი საწარმოს საცხოვრებელ ადგილთან სიახლოვე	4.13
12. სწავლის პარალელურად მუშაობის პროცესში მიღებული ანაზღაურება	3.80
13. საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ სახლთან სიახლოვე	3.61


გამოკითხული კურსდამთავრებულებიდან უმეტესობას (91%) პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში არ უფიქრია სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე, ხოლო დანარჩენი 9% პანდემიის გამო აპირებდა სწავლის შეწყვეტას, თუმცა მაინც გააგრძელეს სწავლა ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლის შემდეგ.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 40 რესპონდენტი (87%) აცხადებს, რომ ახლა რომ იღებდეს გადაწყვეტილებას, აირჩევდა იგივე პროფესიას, დარჩენილი 6 რესპონდენტი (13%) არ აირჩევდა იგივე პროფესიას და ამის მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ სხვა პროფესიით დაინტერესდა და სხვა მიმართულებით სურს ცოდნის მიღება.

გრაფიკი 5. ახლა რომ აზარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას




გრაფიკი 6. რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიას




რაც შეეხება პროფესიული სასწავლებლის მიმართ დამოკიდებულებას, 9%-მა (4 რესპონდენტი) განაცხადა, რომ არ აირჩევდა იგივე პროფესიულ სასწავლებელს და დასახელებული მიზეზებია: კოლეჯის სიშორე (25%), სხვა კოლეჯის მიერ შემოთავაზებული ახალი მიმართულებები (25%) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების სურვილი (50%).

გრაფიკი 7. ახლა რომ აზარებდით, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიულ სასწავლებელს




გრაფიკი 8. რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიულ სასწავლებელს




პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა გამოკითხულთა 74%, რომელთაგანაც 37% იყო თვითდასაქმებული, ხოლო დანარჩენი დაქირავებით დასაქმებული. სწავლობდა 17% და უმუშევარი იყო 9%.

გრაფიკი 9. რას საქმიანობდით პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში




პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში უმრავლესობა (61%) არ მუშაობდა. დასაქმებულთაგან ყველაზე მეტად დასახელდა სრულ განაკვეთზე მუშაობა (20%). 11% და 8% პერიოდულად (სეზონურად) და ნახევარ განაკვეთზე იყო დასაქმებული.

გრაფიკი 10. მუშაობდით თუ არა პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში



პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა მესამედზე მეტმა (43%) გააგრძელა მუშაობა იქ, სადაც მანამდე მუშაობდა, 4%-მა გააგრძელა მუშაობა კომპანიაში, სადაც მუშაობდა და სწავლობდა დუალური პროგრამის ფარგლებში, 13%-მა დაიწყო მუშაობა სხვა კომპანიაში, სადაც მანამდე არც მუშაობდა და არც პრაქტიკას არ გადიოდა, 11% - საკუთარ მეურნეობაშია დასაქმებული, 3% - მუშაობს მაღაზიაში მოლარე-ოპერატორად, 2% გამოკითხულებიდან აგრძელებს ისევ სწავლას და ამიტომ არ მუშაობს, დანარჩენ 24%-ს კი საერთოდ არ დაუწყია მუშაობა. შესაბამისად, გამოკითხულების 26% უმუშევარია.

გრაფიკი 11. პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ დაიწყეთ თუ არა მუშაობა



სწავლის შემდგომი საქმიანობის თვალსაზრისით სქესის მიხედვით სხვაობები არ გამოვლინდა დასაქმებულთა და უმუშევართა შორის. თუმცა, განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გამოცდილება. კერძოდ, დაუსაქმებელთა უმეტესი ნაწილი (63%) 25 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფშია. გამოკითხულთაგან, რომლებმაც გააგრძელეს მუშაობა მანამდე სადაც მუშაობდა ან სწავლობდა, უმეტესობა (32%) არის ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.


სამუშაოს დაწყების პერიოდი კურსდამთავრებულებისთვის, რომლებმაც პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ დაიწყეს მუშაობა, შეადგენს 3 თვეზე ნაკლებ პერიოდს. დასაქმებასთან დაკავშირებით კურსდამთავრებულები რჩევას იღებენ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან,

რომელიც დაამთავრეს და ასევე, დასაქმების ფორუმებისა და სხვა თემატური ღონისძიებების საშუალებით.

ნაწილი II. მიმდინარე საქმიანობა


კვლევის შედეგების მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა შრომით საქმიანობაშია ჩართული: 41% აცხადებს, რომ არის დაქირავებით დასაქმებული, 33% კი თვითდასაქმებულია. კურსდამთავრებულების ნაწილი კი (26%) ამ ეტაპზე დაუსაქმებელია.

გრაფიკი 12. მიმდინარე საქმიანობა



გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი დასაქმებული (7 კურსდამთავრებულიდან 6 დასაქმებულია) ჰყავს ოპიზარის კოლეჯს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი კოლეჯების შემთხვევაში კურსდამთავრებულთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 70%-ია.

გრაფიკი 13. დასაქმებულთა განაწილება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით




დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი შედარებით მაღალია ქალებში, ვიდრე კაცებში (შესაბამისად: 66%, 34%), ხოლო თვითდასაქმებულთა უმეტესობა (76%) მამაკაცია.

გამოკითხულთა 4%-მა (2 კურსდამთავრებული) სწავლა გააგრძელა უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურზე და მიმართულება ნაწილობრივ ან სრულად დაკავშირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ პროფესიული განათლების კვალიფიკაციასთან.

გამოკითხულთა 41%, 19 კურსდამთავრებული ამჟამად დაქირავებით დასაქმებულია. როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობისათვის (63%) კერძო დაწესებულება წარმოადგენს დასაქმების წყაროს, ხოლო 16% სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობს. კერძო დაწესებულებაში დაქირავებით დასაქმებულთაგან 4 კურსდამთავრებულია, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა იმ კომპანიაში, სადაც მანამდე არც მუშაობდა და არც პრაქტიკას გადიოდა.


გრაფიკი 14. რა ტიპის დაწესებულებაში მუშაობთ (დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები)



დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთაგან სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიზნით საცხოვრებელი ადგილი არცერთმა არ შეიცვალა.

საინტერესოა, რომ დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ სამუშაოსთან: 57% ამბობს, რომ მათი საქმიანობა პირდაპირ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან, 21% კი აცხადებს, რომ მათი საქმიანობა ნაწილობრივ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების 22% მუშაობს ისეთ სფეროში, რომელიც არ არის კავშირში საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან.

გრაფიკი 15. დაკავშირებულია თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან (დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები)



არაპროფილურად დასაქმებულმა კურსდამთავრებულებმა კონკრეტული მიზეზი ვერ დაასახელეს, თუ რატომ ვერ დასაქმდნენ თავიანთი პროფესიით.


აქვე აღსანიშნავია, რომ დაქირავებით დასაქმებულების დაახლოებით მესამედს აქვს შრომითი ხელშეკრულება.

19 კურსდამთავრებულიდან 14-მა, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია, დაასახელა ყოველთვიური საშუალო ხელფასი. გაცემული პასუხებიდან ჩანს, რომ 6 კურსდამთავრებულს აქვს 500 ლარამდე ხელფასი, 4 კურსდამთავრებულს აქვს 500-დან 1000 ლარამდე, ხოლო 5 კურსდამთავრებულის ყოველთვიური საშუალო ხელფასი 1000 ლარზე მეტია. რაც შეეხება ხელფასის ცვლილებას პროგრამის დასრულების შემდეგ, ხელფასი გაიზარდა 7 კურსდამთავრებულის შემთხვევაში. დანარჩენი კურსდამთავრებულებისთვის, რომლებიც დაქირავებით არიან დასაქმებული, ხელფასი არ შეცვლილა. 7 კურსდამთავრებულიდან 5 არის ქალი და მეხილეობისა და ვეტერინარიის პროგრამის კურსდამთავრებული.

შემოსავლების თვალსაზრისით განსხვავებული სურათი იკვეთება სქესის ჭრილში. კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელთა ანაზღაურება 500 ლარზე მეტია, უმეტესობა (50%) არის კაცი.


რაც შეეხება სამუშაო მოთხოვნებსა და პროფესიულ სასწავლებელში მიღებულ კვალიფიკაციას შორის შესაბამისობას, უმეტეს შემთხვევაში (47%) კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები არ არის შესაბამისობაში. კურსდამთავრებულთა მხოლოდ 26%-თვის კვალიფიკაცია არის დაკავშირებული სამუშაოსთან.

გრაფიკი 16. როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას (დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულები)



კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ამჟამად დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულები კმაყოფილი არიან თავიანთი სამსახურით. 42% კმაყოფილია ამჟამინდელი სამუშაოთი, ხოლო 58%-მა ნაწილობრივი კმაყოფილება გამოხატა.


გრაფიკი 17. კმაყოფილი ხართ თუ არა სამსახურით (დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულები)



როგორც ზემოთ აღინიშნა, საგანმანათლებლო დაწესებულებების (33%, 15 კურსდამთავრებული) თვითდასაქმებულია. თვითდასაქმებული კურსდამთავრებულებიდან ერთ რესპონდენტს მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და საცხოვრებლად გადავიდა მცხეთაში.


თვითდასაქმებულთა უმეტესობა (87%) საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით საქმიანობს და ისინი აღნიშნავენ, რომ მათი საქმიანობა პირდაპირ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან, 6%-მა მიუთითა ნაწილობრივი კავშირის შესახებ. მხოლოდ ორმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისი საქმიანობა არ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან.

გრაფიკი 18. დაკავშირებულია თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან (თვითდასაქმებული რესპონდენტები)




თვითდასაქმების ფარგლებში წარმოებულ საქმიანობებში წამყვან მიმართულებას წარმოადგენს შერეული მეურნეობა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით საქმიანობას გულისხმობს (მაგალითად, სასათბურე მეურნეობა, მეხილეობა, თხილის წარმოება და მევენახეობა).

გრაფიკი 19. თვითდასაქმების ფარგლებში, რა ტიპის მეურნეობაში ხართ ჩართული/რა ტიპის კერძო ბიზნესი გაქვთ (თვითდასაქმებული რესპონდენტები)



რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, გამოკითხულთა 67%-მა არ დაასახელა თავისი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი. 20%-ის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 800 ლარი და ნაკლებია, ხოლო 13%-ის შემოსავალი 900 ლარზე მეტია.


გრაფიკი 20. დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი შინამეურნეობიდან (ლარებში) (თვითდასაქმებული რესპონდენტები)



გენდერული ჭრილის მიხედვით ანალიზი აჩვენებს, რომ თვითდასაქმებულთა უმეტესობა (73%) კაცია.


როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, თვითდასაქმებულთა უმრავლესობას (67%) ჰქონდა საკუთარი ბიზნესის დაწყების მოტივაცია, სანამ პროფესიულ განათლებას დაეუფლებოდა. 7%-მა კი ვერ შეძლო შესაბამისი სამსახურის შოვნა და ამიტომ გადაწყვიტა საკუთარი ბიზნესის დაწყება, ხოლო 26%-მა გააგრძელა საკუთარი საოჯახო ბიზნესი.

გრაფიკი 21. რატომ გადაწყვიტეთ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის წამოწყება (თვითდასაქმებული რესპონდენტები)




თვითდასაქმებულებიდან 1-მა რესპონდენტმა (7%) შესაბამისი კვალიფიკაცია დაასახელა საკუთარი ბიზნესის დაწყების მიზეზად, ხოლო დანარჩენმა ნაწილმა მიზეზებად დაასახელა რესურსების (მაგ., სკები, ფართი, ფული, მანქანა) ფლობა, საკუთარი ბიზნესის ფლობის უპირატესობა და ბიზნესის მართვის კარგი უნარები.

გრაფიკი 22. რატომ გინდოდათ, რომ გქონოდათ შინამეურნეობა/საკუთარი ბიზნესი (თვითდასაქმებული რესპონდენტები)




რაც შეეხება სამუშაო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციას შორის შესაბამისობას, კვალიფიკაცია და შესასრულებელი სამუშაო შესაბამისობაშია ან კვალიფიკაცია უფრო მაღალია, ვიდრე შესასრულებელი სამუშაო რესპონდენტების 94%-თვის.

გრაფიკი 23. როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას (თვითდასაქმებული კურსდამთავრებულები)




რაც შეეხება თვითდასაქმებულთა კმაყოფილებას საკუთარი სტატუსით, მათი უმრავლესობა (60%) კმაყოფილია, რომ დაკავებულია საკუთარი ბიზნესით, ხოლო 40% ნაწილობრივ კმაყოფილებას აფიქსირებს.

გრაფიკი 24. კმაყოფილი ხართ თუ არა იმით, რომ გაქვთ შინამეურნეობა/საკუთარი ბიზნესი (თვითდასაქმებული რესპონდენტები)



საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 26% (12 რესპონდენტი) ამჟამად დაუსაქმებელია და მათი ნახევარზე მეტი (58%) ეძებს სამუშაოს.


გრაფიკი 25. ეძებთ თუ არა ამჟამად სამუშაოს (დაუსაქმებელი რესპონდენტები)



დაუსაქმებელთა 42%-მა აღნიშნა, რომ არ ეძებს სამუშაოს და აქედან ორი სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვა პროფილით.

რაც შეეხება იმ კურსდამთავრებულებს (7 რესპონდენტი), რომლებიც ეძებენ, მაგრამ ვერ ახერხებენ სამუშაოს პოვნას, ძირითად მიზეზებად დაასახელეს პროფესიაზე დაბალი მოთხოვნა (მეხილეობის პროგრამა), შემოთავაზებული ხელფასის სიმცირე, არასაკმარისი გამოცდილება და უნარები.


გრაფიკი 25. როგორ ფიქრობთ, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ რატომ ვერ პოულობთ სამსახურს (დაუსაქმებელი რესპონდენტები)



ნაწილი III. სამომავლო გეგმები და საგანმანათლებლო პროცესის შეფასება


გარდა მიმდინარე საქმიანობისა, კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმები. როგორც აღმოჩნდა, კურსდამთავრებულთა 46% გეგმავს სწავლის გაგრძელებას, 13% არ გეგმავს, ხოლო 41%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია.

გრაფიკი 26. გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას




სწავლის გაგრძელებას გეგმავს 21 (46%) კურსდამთავრებული. აქედან უმეტესობა (52%) სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იგივე პროფილით. მთლიანობაში სხვა პროფილით სწავლის გაგრძელებას აპირებს 6 კურსდამთავრებული (29%). ისინი გეგმავენ მეზღვაობის, მეფუტკრეობის, მევენახეობის, მეზღვაობისა და ბიზნეს ადმინისტრირების შესწავლას.

გრაფიკი 27. თუ გეგმავთ სწავლის გაგრძელებას, გთხოვთ დააკონკრეტოთ თქვენი პასუხი




იმ ცოდნასა და უნარებში, რომელთა განვითარებასაც ისურვებდნენ კურსდამთავრებულები, ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა საერთაშორისო გამოცდილების მიღება (91%), თეორიული ცოდნის გაღრმავება (76%), სამეწარმეო უნარები (74%) და უცხო ენის ცოდნა (74%).

გრაფიკი 28. ისურვებდით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და უნარების განვითარებას




პროფესიული განათლების მიღების შემდეგ დამატებითი ტრენინგები გაიარა გამოკითხულთა 37%-მა. დასახელებულ დარგობრივ ტრენინგებს შორისაა ტრენინგი მესაქონლეობაში (კვების რაციონი და ხელოვნური განაყოფიერება), მეხილეობაში (ხეხილის ბალის გაშენება, გასხვლა), მეფუტკრეობაში, მესათბურეობაში, თხილის გაშენებაში, მეთევზეობასა და მებოსტნეობაში (შენახვა-გადამუშავება რეალიზაცია).

გრაფიკი 29. გაიარეთ თუ არა დამატებითი ტრენინგები პროფესიული განათლების მიღების შემდეგ




რაც შეეხება პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს, რომელთა გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ რესპონდენტები, ამ კუთხით დასაქმებაზე ზრუნვა დასახელდა ყველაზე მაღალი სიხშირით და კურსდამთავრებულთა 65%-მა მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს გაუმჯობესებას. გამოკითხულთა აზრით, ასევე გაუმჯობესებას საჭიროებს პროფესიაში ტრანსფერის ხელშემწყობი ღონისძიებები - დასაქმების ფორუმები (42%), - სწავლების მეთოდები - მასწავლებელთა კომპეტენცია დაბალია (50%) და სწავლების ხარისხი (47%). დასაქმების ფორუმებთან დაკავშირებით დასახელდა, რომ საჭიროა სასწავლებლის უფრო მეტი ჩართულობა, დასაქმების შესაძლებლობებზე მეტი ინფორმაციის გადაცემა სასწავლებლის მხრიდან. ამავე დროს დასაქმების ფორუმები უფრო ხშირად უნდა ტარდებოდეს, კერძო სექტორთან კომუნიკაციის მექანიზმების დანერგვაა საჭირო. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა დისტანციური სწავლების გაუმჯობესება, რადგან პრაქტიკის კომპონენტი სრულყოფილად ვერ შესრულდა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო. გარდა ამისა, კურსდამთავრებულები ასახელებენ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის გადახალისების საჭიროებას, რომ სწავლების პროცესი უფრო საინტერესო იყოს სტუდენტებისათვის.

გრაფიკი 30. ახლა ჩამოგითვლით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს. გთხოვთ, გვითხრათ, რომელი მათგანი საჭიროებს გაუმჯობესებას



რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების ზეგავლენას სამუშაოს დაწყების პროცესზე, მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა გამოკითხულთა 50% და, მათი აზრით, პროფესიული განათლების მიღება დასაქმების კარგი წინაპირობაა. ამავე მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს კურსდამთავრებულთა 43%. ხოლო დანარჩენმა 7%-მა კითხვას არ უპასუხა.

გრაფიკი 31. თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას




ნაწილი IV. კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი

პროფესიული დუალური პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელია 74%. მათ შორის, გამოკითხული ქალი რესპონდენტებიდან 83%-ია დასაქმებული, ხოლო მამაკაცებში დასაქმება 65%-ს შეადგენს. ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (53%) დაფიქსირდა 26-40 წლის ასაკობრივ კატეგორიაში.

დასაქმების მაჩვენებელი განათლების საფეხურის მიხედვით იცვლება და საშუალოდ 60%-ს აჭარბებს. მაგალითად, საშუალო განათლების შემთხვევაში - 75%-ია, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 69%-ია დასაქმებული. საგულისხმოა, რომ პროფესიული განათლება დასაქმებული რესპონდენტებისთვის კვლევის დროს წინმსწრებ დონედ დაფიქსირდა ხუთ შემთხვევაში და მოცემულ კატეგორიაში დასაქმების მაჩვენებელი 100%-ს უტოლდება.

გრაფიკი 32. დასაქმების მაჩვენებელი წინმსწრები განათლების კრილში



დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა შიდა ქართლში (89%). შემდეგ მოდის იმერეთი (86%), მცხეთა-მთიანეთი (70%) და სამცხე-ჯავახეთი (70%). საერთო ჯამში, დასაქმების მაჩვენებელი არცერთ რეგიონში არ არის 60%-ზე ნაკლები.

ცხრილი 2. დასაქმების მაჩვენებელი რეგიონის კრილში

რეგიონი	დასაქმებულთა მაჩვენებელი	
	რაოდენობა	%
შიდა ქართლი	9	89%
იმერეთი	7	86%
მცხეთა-მთიანეთი	10	70%
სამცხე ჯავახეთი	7	70%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	8	63%
კახეთი	5	60%

რაც შეეხება მიმართულებების მიხედვით დასაქმების მაჩვენებელს, სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალია დასაქმება ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებასა და მებოსტნეობაში (100%).

ცხრილი 3. დასაქმების მაჩვენებელი მიმართულების კრილში

რეგიონი	დასაქმებულთა მაჩვენებელი	
	რაოდენობა	%
ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავება	1	100%
მებოსტნეობა	3	100%
ვეტერინარია	11	91%
მეხილეობა - ჩაი	7	86%
მეფუტკრეობა	8	75%
ფერმერობა მეთევზეობაში	3	67%
რძის პროდუქტების წარმოება	2	50%
მეხილეობა	8	50%
მებაღეობა	3	33%

დასკვნა

2021 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი 74%-ია. დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება კურსდამთავრებულთა ასაკის, სქესის, საგანმანათლებლო მიმართულებებისა და წინმსწრები განათლების მიხედვით.

აგრარული მიმართულებით პროფესიული განათლების მიღება საინტერესოა ახალგაზრდებისთვის, თუმცა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი (53%) დაფიქსირდა 26-40 წლის ასაკობრივ კატეგორიაში. გენდერულ ჭრილში ანალიზის მიხედვით, დასაქმებულთა შორის უმრავლესობა ქალია. გამოკითხულ ქალთა 83% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, ხოლო კაცი გამოკითხულებიდან 69%-ია დასაქმებული. დასაქმების მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებასა და მებოსტნეობაში (100%).

რაც შეეხება, კურსდამთავრებულთა კმაყოფილებას პროფესიული განათლებით, მათი უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას. თუმცა ასევე უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დასაქმებაზე ზრუნვა, დასაქმების ფორუმები, სწავლების მეთოდები და სწავლების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას. ასევე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა დისტანციური სწავლების გაუმჯობესება, რადგან პრაქტიკის კომპონენტი სრულყოფილად ვერ შესრულდა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო. გარდა ამისა, კურსდამთავრებულები ასახელებენ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის გადახალისების საჭიროებას, რომ სწავლების პროცესი უფრო საინტერესო იყოს სტუდენტებისათვის.